

შენობა-ნაგებობის შეფასების მეთოდი
ელინა ქრისტესიაშვილი, გრიგორ ამაგლობელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
e.kristesiashvili@gtu.ge, g.amaglobeli@gtu.ge

მოცემული თემის ფარგლებში განხილულია ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შენობა-ნაგებობის შეფასების მეთოდის, ნარჩენი ჩანაცვლების ღირებულების გამოყენებასთან. შეფასების საერთაშორისო სტანდარტებში არსებობს სამი ძირითადი მიდგომა: საბაზრო, შემოსავლისა და დანახარჯების მიდგომა.

დანახარჯების მიხედვით დგინდება მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, რომელსაც ემატება იდენტური შენობა-ნაგებობის ახალი მშენებლობის ხარჯები და აკლდება ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური ცვეთა.

ნარჩენი ჩანაცვლების ღირებულება განისაზღვრება, როგორც აქტივის ჩანაცვლების ღირებულება მისი მსგავსი თანამედროვე აქტივით, ყველა შესაფერისი ფორმის ფიზიკური ცვეთის გამო-რიცხვით.

**მოდულაციის გამოყენების საკითხები თანამედროვე ციფრულ
სამაუწყებლო სატელევიზიო სისტემებში**
მარინა ქურდაძე, გივი მურჯიკნელი, გიორგი მურჯიკნელი
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
m.kurdadze@gtu.ge, g.murjikneli@gtu.ge

ნაშრომში ნაჩვენებია რომ ორთოგონალური სიხშირული მულტიპლექსირება (OFDM- Orthogonal frequency-division multiplexing-) მოდულაციის სახეობა-უზრუნველყოფს სიგნალის დაცვას ხელშეშლებისაგან, არეკვლილი სიგნალების სახით. ამასთან OFDM მოდულაცია იძლევა შესაძლებლობას აიგოს ერთსიხშირიანი ქსელი, რომელსაც ძალუძს გეგფილერების გამოყენებით 100% მოიცვას ტერიტორია მაუწყებლობით.

განხილულია და წარმოდგენილია ორთოგონალურ სიხშირული მულტიპლექსირება და მისი შედარება სიხშირულ მოდულაციასთან, ნაჩვენებია OFDM-ის საშუალებით ოთხი ქვეგადამტანი სიხშირის მაგალითი, სიგნალის ხელშეშლები და როგორ ხდება მათგან დაცვა. აგრეთვე ციფრული მაუწყებლობის უპირატესობები და აქედან გამომდინარე თემა აქტუალურია რადგან OFDM მოდულაცია ხასიათდება მაღალი დაბრკოლებამდგრადობით სიმბოლოთა შორისი ინტერფერენციისა და რადიოტალღების მრავალსიხვიანი გავრცელების შედეგად მიღებული ექო/სიგნალების მიმართ. ნაშრომში დასმული ამოცანა ეხება ორთოგონალურ სიხშირულ მულტიპლექსირებას, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები რეალობაში განხორციელების თვალსაზრისით და ნაჩვენებია ამ ამოცანის რეალურად გადაჭრის გზები.

ლიტერატურა

www.gncc.ge

www.digitaltv.ge

www.economy.ge

www.csee.wvu.edu/wcrl/public/jianofdm.pdf

**ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი ახალი
კონსტრუქციების აგება გაანგარიშების პრინციპები
გელა ყიფიანი¹, ალექსანდრე ბუაჩიძე², ანა ტაბატაძე¹**

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

gelakip@gmail.com, buachidze@tsmu.edu, a.tabatadze@gtu.ge

გადმოცემულია ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლის რკინაბეტონის კონსტრუქციების რიცხვითი მოდელები შესართავ აკვატორიებში, ტალღებისა და ნატანის მოძრაობის გაანგარიშების არსებული კომპიუტერული მოდელების მიმოხილვა და ანალიზი ზღვის სანაპირო არეებში. ნაპირდამცავ ღონისძიებათა წარუმატებლად განხორციელების მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები.

სანაპირო ზოლის აღდგენის არსებულ ღონისძიებათა შეფასე-